

26
1925 25/5

№. 30306190.

ჩემი გოკვრის სახურის

საცლის უფრო წართხევის ამგავი

და

ჩემი თავგადასავალი

ტფილისი
1925

ଲୋକ ପରିବାର ମେଲି



ჩემი მოკვლის სამხადის და საპლიტ დაზურილების განვაზი

۱۶۳

ჩემი თავგადასავალი.

2271



ପ୍ରକାଶିତ — 1925

სტამბა გაზ. „შარია ვოსტოკა“-სი, წულუკიძის ქ. № 4
შეკვ. № 207 ★ ტირაჟი 1000 ★ მთავრ. № 1400.

რამ მაიკულა დამეწერა და გამომაცხა ეს წიგნიპი.

მიმდინარე 1925 წელს „მუშა“-ს 824 №-ში მოთავსებულ იქმნა
ჩემი საწინააღმდეგო წერილი, რომელსაც უცვლელათ აქვე ვათავსებ:

ავტოცობას ნურავის შევარჩევი.

ზაქარია ჭიჭინაძემ უკადრისად მოატყუილა მუშა არჩილ
არჩვაძე, რომელმაც მთელი ოთხი წლის განმავლობაში არჩინა
იგი და ბოლოს არამც თუ მისცა რაიმე არჩვაძეს, პირიქით,
შარი მოსდო: ოთახის ქირა უჩივლა და მთელი ოჯახი დაუ-
წიოკა, სასამართლოს ბოქაული მიაყენა კარებზე.

ამ საქმის დავიდარაბა დღესაც არ გათავებულა, მაგრამ
ამას თავი დავანებოთ.

მოქ. ზაქარიამ სოფ. პატარძეულში გლეხი სიკო თათარი-
შველიც მოატყუილა და შეს თავისი სახლი მიჰყიდი რევაზოვის
ქ. № 5, რა თქმა უნდა ნოტარიალური წესით, რაშიაც კუთვ-
ნილი ფული უკვე მიიღო.

ბოლოს იმასაც შარი მოსდო:

„— მე შენ სახლი მოგყიდე თუ არა წყლის საზომი კი
არ შომიყიდნია“-ო.

გლეხმა ამ საქმის გამო გაყიდა ძროხა და ზაქარია გაის-
ტუმრა, მაგრამ არც ამით გამოვიდა რამე.

როდესაც ზ. ჭიჭინაძეს იუბილე გადაუხადეს, მან ამ დროს
რაღაც მანქანებით მოახერხა და მამასისხლად ნაყიდი სახლი
ხსენებულ გლეხს ისევ წაართვა:

ასეთ უკანონობის გამო დღეს სასტიკი გამოძიება სწარ-
შოებს თბილისის აღმასკომის მიერ, მაგრამ ზაქარია აქაც თა-
ვის ხრიკებს და ოსტატობას იჩენს, თავის მოწინააღმდეგე სი-
კო თათარაშვილს ჩარჩ ვაჭრათ, მდიდარ შეძლებულ პირათ
ასახელებს და ამით უნდა ფონს გავიდეს.

ნამდვილად კი ეს გლეხი მეტად ლარიბი კაცია და წვრილ
ცოლშვილს ლუკმა პურს ძლივს აწვდის.

ასეთი ბოროტი საქმეების ჩადენა არ ეპატიება აღაშიანს,
რომელსაც თავის საზოგადო მოღვაწეთ და ქართველი ერის
კირისუფლად მოაქვს.

ე. რაჭველი.*)

ამ წერილის ავტორი ე. რაჭველი („ცნობილი“ ევგენი დვალი)
ისეთს სიყალბეს სჩადის; რომლის პასუხი გაზეთის ფურცლებზე, ყოვ-
ლად შეუძლებელი იყო... თვით თათრიშვილი და არჩვაძე, როგორც
პირადათ, ისე ნაქირავებ ვექილების საშლალებით, თითქმის ქვეყანას
აყრუებენ, ყველგან დაძრშიან, რათა სახელი გამიტეხონ, ჩირქი მომ-
ცხონ და ხალხის თვალში გაშაბახონ, ამ შთაგონებისა და პროვოკა-
ციის ზეგავლენით, ერთ-ერთ (თუთილისის აღმასკომის) პასუხისმგბელ
თანამშრომელ სახელდობრ აკაკი ბაბუნაშვილს განუცხადებია: „ჭი-
ჭინაძე—დასახვრეტია“-ო. ამ წიგნაკით მე ვამხელ იმ ბოროტებას,
რომელიც ჩაიდინეს: თათრიშვილშა, არჩვაძემ და ევგენი დვალია...
დევ, საზოგადოებამ დასდოს მათ სათანადო მსჯავრი...

ზაქ. ჭიჭინაძე.

(*) რედაქტიას მოუვითა წერილი, რომლის აფშარი იმტყუნებს ცნო-
ბილს ზაქარია ჭიჭინაძეს სხვა და სხვა ბორტო-მოქმედების ჩადენა. ში. იქ მო-
ყვანილ ცნობების სინამდვილეს რედაქტია. სტაციას ავტორის სრულ პასუ-
ხისგებაზე.

საჭიროდ მიგვაჩინა მხრილოდ დავსინოთ, რომ ბოროტი საქე ვინც
არ უნდა ჩაიდინოს დასაგმობია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ზაქარია შიჭინაძე თავის მხრივ,
უკუკუ მას მოექებნება ამ ცნობების დასაჩიდვევი საბუთები გამოაქვეყნება
ზათ და ამით საბოლოოდ გამოირკვევა ყოველივე შესახებ.

ჩემი სახლის გასუიდვის ამბავი 1920 წ.

ჩემი სახლი, ამ რევოლუციის ხანაში, არის ისტორიული სახლი, იგი საყურადღებო განძია, ვინაიდან ამ სახლს ბეჭრი რამ მოწამეობა გადაჰქიდია.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ მისი გასყიდვა და მისი სხვის ხელში გადასვლა იქნებოდა ერთნაირი ისტორიული დანაშაული, ვინაიდან ამ ისტორიულ სახლის თავზედ ბეჭრს ქარ-ცეცხლს გადაუვლია. ერთ დროს ეს სახლი მონარქიულმა მთავრობამ კინალამ დააქცია; მათ ეგონათ, რომ ამ სახლის ეზოში, თუ ოთახებში, იყო დაფულული კონსპირატიული სტამბა.

ამ სტამბის გარდა მათვე ეგონათ ისიც, რომ აქ იყო დამალული ის საბეჭდავი მანქანა — „ამერიკანკა“, რომელიც 1906 წ. „სორაპის“ სტამბიდან მოიპარეს ერთ ლამეს. ეჭვი ჩემზედ მოიტანეს, რადგან ეს სტამბა „სორაპანი“ ჩემს სახელობაზედ იყო გახსნილი, შავრამ ჯალათები მოსტყუვდნენ, — ჩემს სახლში მანქანა საბეჭდავი არ აღმოჩნდა და დიდი ჩხრეკის შემდეგ სახლი უვნებლად გადარჩა და დანგრევას ასცდა.

ასე და ამგვარად, ამ სახლის თავზედ დიდმა ტ აურაცხელმა რეპრესიებში გადაიარეს. ამ სახლს მთელი კვირის განმავლობაში ჩხრეკდნენ განუწყვეტლად, რადგან აქ ეგულებოდათ ვასო გადილის მიერ გამოცემული აკრძალული წიგნებიც, თუმცა ამ წიგნების ექვსი დროგი წაიღეს ტფილ. ჯანდარმერის სამმართველოში.

მეორე ამ სახლის გაუსყიდაობის საფუძველი ის იყო კიდევ, რომ ეს სახლი 1904 წ. ნატარიუსის წესით მე დაუშტკიცე სართველოს ერის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

შესამე მიზეზი იყო კიდევ ის, რომ ჩემი სახლი სათავად-აზნაურო ბანქში დაგირავებული იყო და იქ, არხივში, მისი კუპჩია დაეკარგნათ, რაც უფრო შეუძლებელსა ხდიდა მის გასყიდვას, რადგან უკუპჩიოთ მას არავინ არ იყიდდა.

მეორხე მიზეზი ის იყო კიდევ, რომ ერთმა ქართველმა კაცმა 20 ათასი მანეთი უსარგებლოთ მახესხა. ამ ფულით მე ეს სახლი ბანქის ვალისაგან გავანთავისუფლე და, ამგვარად, ალარაფრის შიში არა მქონდა და სრულიად საჭიროებას არ მოითხოვდა მის გაყიდვას.

მეტეთე მიზეზი იყო კიდევ ის, რომ ვინც 20 ათასი მანეთი მასესხა, იმან პირობა ჩამომართვა, რომ ეს სახლი არ გამეყიდნა და, უკეთ მაინცა და მაინც მოვიწადინებდი გაყიდვას,—მაშინ მისთვის უნდა მიმეყიდნა.

მიუხედავად ასეთი პირობებისა, მეც და ამ სახლსაც, ისეთი მგლები და სვავები გამოვიჩნდნენ, რომელთაც, მიუხედავად ზემოდ მოყვანილ პირობებისა, ჩემი ჩაგრა, მოჰყუება და ათასი ბოროტი ზრახვები მოიწადინეს, რომლებმაც ისარგებლეს-რა ჩემის გულკეთილობით და გულწრფელობით, ეს სახლი ხელში ჩაიგდეს, რაც შეუძლებელი არის, რომ ეს აფერისტული ეშმაკობა და ბოროტება ეპატიოთ და იგი არ იქმნეს საქვეყნოთ გამოცადებული და დაგმობილი იმედია, რომ ამ ავაზაკების ასეთ საქციელს არავინ. მოიწონებს და ისიც ჩემს დალუპვაში.

ამიტომ ამათ შესახებ მინდა რამოდენიმე სიტყვა ვთქვა და შევაჩერო მკითხველის თვალი და ყური, რომელიც ინტერეს მოყლებული არ იქნება.

ეს პირები არიან: 1. მაკლერ-დალალი გრიგოლ აგლაშვილი; სოფლის მემამულე თავალი; სოფელში რაც კი რამე ჰქონია ქონება და ავლა-დიდება,—შეუჭამნია და ცარიელი დარჩენილა; ამის შემდეგ სოფლიდან თუილისში ჩამოსულა და დალალობა დაუწყვია. ამით იგი ფონს გასულა და დალალობას იგი ისე შესჩევენა, რომ ბოლოს მას კარგათ მოტყუების შნო და ოსტატობაც შეუძენია, ოსტატური ფლიდობა. 2. სოფელ პატარძეულის ჩარჩი, სიკო თათრი-შვილი, რომესაც ჩემი ამბავი შეატყობინა მაკლერ აგიაშვილმა. ვინაიდგან ეს მაკლერი ერთ დროს ჩემს სახლშიაც იდგა დგმურათ; ის მეც კარგად მიცნობდა; ამან გააცნო თათრი-შვილს ჩემი ცხოვრების პირობები; თათრი-შვილს ჭკუაში მოუვიდა. მან ამ დალალს გაუქსნა თაგისი ქისა და უთხრა:

— აი, დახარჯე ფული რამდენიც გინდა ეგ სახლი კი ხელში ჩამაგდებინე.

მაკლერმაც დაიწყო მუცადინეობა. ერთ დღეს, დილა აღრიანათ, მესტუმრა მე ჩემს სახლში. ჩემდა საუბეფუროთ, წინა დღით მდგმურა მაწყენინა, მე გუნებაზე არ ვიყავი: ეს გარემოება ამ მაკლერმაც კარგათ იცოდა თურმე. აშიტომ შემირჩია-დრო. დამიწყო ლაპარაკი ასეთ კილოზე.

— შენ ერთი კაცი ხარ, მოხუცებული, ცას ხომ არ შეაბერდები! რაზედ ეწვალები და იტანჯები მდგმურობისაგან დაანებე თავი ამ საძაგელ დგმურებისაგან მოყვნებულ ტანჯვას. გაყიდე ეს სახლი,

ფული ჩაიდე ჯიბეში და შენთვის იცხოვრუ ტქბილათ და მოსვენებით ამ მოხუცებულობის დროს.

ეს მაკლერი აგიაშვილი თითქმის ყოველ დღე დაზარებოდა ჩემთან და ისე თავისებურის კილოთი მიმასპინძლდებოდა ლაპარაკით, დარიგებით და ისეთის ენაწყლიანობით, რომ ვერც კი ვგელავ დი მისს ჩემს სახლიდან დათხოვნის, რითაც ის სარგებლობდა.

ამ ხანებში სემს სახლში მოხდა ასეთი ამბავი: იმ დროს, როდესაც მე თფილისში არ ვიყავი, ჩემს სახლში დაცლილიყო ერთი ოთახი; ეს ოთახი იქვე ჩემს დღგმურს დაეჭირნა, ისეთ დგმურს, რომელსაც ამ ოთახის გარდა, კიდევ სამი ოთახი ჰქონდა, რომელმაც ეს ძალად დკერილი ოთახი სხვაზელ კარგ ფასში გააქირავა და, ამგვარად, ეს მე არაფრათ მესიამოვნა და სასამართლოში მივეცი. სასამართლომ, სიმართლის აღსადგენათ, საში მოწამე მომთხოვა; მე წარვადგინე, რომლებმაც საქმის გარჩევის დროს, ორმა მოწმემ სიმართლე აღიარეს, ხოლო, მესამემ, რომელიც უფრო ჩემი ნათესავი იყო, — იმან იმრუშა.

ერთ დიღას კიდევ მოვიდა ჩემთან ეს ცნობილი შაკლერი და ამის შესახებ აი რა მითხოა:

— ნახე, რა ყიყვეს შენმა დგმურებმა! ოთახი დაიცალა შენს აქ არ ყოფნაში და ეს ოთახი შენმა დგმურმა დაიჭირა ძალით. შენმა ნათესავმა მოწმემ, რომელიც კი შენს სახლში მუქთათა სდგას, იმანაც კი/გიმტრო და შენს მტერს მიემხრო. ეხლა ვიღას იმედი გაქვს! აძის შემდეგ შენი აქ ყოვნა როგორ-ლა შეიძლება? კაცო! ეცი შენს თავეს პატივი! იცანი ეს შენი მტერ-მოყვარე მდგმურები! მოდი მაგათ ოხტში და თავი აცნობე, რომ შენცა გაქვს თავმოყვარეობა და გრძნობა. გაძყიდე ეს ტიალი სახლი და მოსცილდი მაგბოროტ მგლებს. მოდი მაგათ ოხტში, მხოლოდ გაყიდვით მოხვალ, თუ არა და ევენი შენ შეგვამენ. შენს თავს დასლე წამალი და უპატრონე, ორიოდე დღე დაგრჩენია და ნუ იტანჯები ამისთანა წყეულ მდგმურებისაგან.

ამ დალალს დიდი ჯიბეც ჰქონდა, მეორე დღეს მოიტანა ჯიბით ერთი შუშა ჭაჭის არაყი. შემოვიდა, დაჯდა, ჯიბილან არაყი ამოილო და სტოლზედ დადგა. დაიწყო თუვისებური ეშმაკური დარიგება, გააბა ლაპარაკი, რომელიც მე სრულიად სასიამოვნოდ არა მრჩებოდა, მაგრამ მის მოცილებას ვერა გმედავდი. ბოლოს იქამდის მომაბეჭრა თავი, რომ ოლონდ დამხსნოდა და მე თანახმა გაუზღი სახლის გაყიდვაზედ. მეგონა, რომ ამით მოვიშორებდი თავიდამ და მის შემდეგ მე დავემალებოდი. მე კაცს, რომ აღარ შევეწუხებინე,

მაგრამ ბოლოს მოვიკრიფე ძალა და სახლის გაყიდვაზედ უარი უთხარი, რადგან ჩემი სახლის გაყიდვა შეუძლებელი იყო.

— გრიგოლ! — უცხადებ მაკლერს, — შენ შეიტყო, რომ მე ერთი, უცოლშვილო კაცი ვარ, მასთან. მოხუცი ჩემი სახლის გაყიდვა არას გზით არ შეიძლება; იგი ქართველი ერის საკუთრებაა! ამიტომ გთხოვ, რომ ამაზედ ლაპარაკი აქ აღარ იყოს. მე ეს სახლი უნდა დაფუტოვო ქართველ საზოგადოებას; ეს რომ გავყიდო მე, მაშინ მე გასალანდლავი ვიქნები. ამიტომ გთხოვთ, რომ ჩემი სახლის გაყიდვაზედ სიტყვა აღარ ჩამოშეიგდო და არც აქ აღარ მთხვიდე.

მაკლერი წავიდა. გავიდა რამდენიმე ხანი. ენახოთ, ეს მოციქული, ერთ დღეს კიდევ ვამომეცხადა, სახლში მაკლერმა სიტყვა შორიდან დაიწყო და ბოლოს მომართა:

— ბატონო ზაქარია! მე სახლში არავინა მყიდვები; დღეს ბაგრატ გორგაძეს სადილი შეუკვეთე და წავიდეთ იქ, ერთად ვისალილოთ. თვეთ მასპინძელმა, მლევდელმა გორგაძემაც კი გილმომცა, გთხოვთ თქვენ სადილათ.

მე მადლობა გადაუხადე და უარი უთხარი, მაგრამ მან დაბეჯითებით მთხოვა, მლევდელ ბაგრატ გორგაძის და მისი მეულლის ხურვილი, რომ მე მათთან სადილათ წავსულიყავი.

მე დაფთანხმდი, რის შემდეგ მაკლერიც წავიდა, იმ პირობით რომ ის 1 საათზედ მოსულიყო ჩემთან და წავეყვანე.

ახლა ორიოდე სიტყვით უნდა გავიცნოთ, თუ ვინ არის ეს ბაგრატ მლევდელი. ეს მლევდელი ბაგრატ გორგაძე გახლდათ, ის პიროვნება, რომელსაც ჩვენს უბანში გაჩალებული წვრილმანის დღენი ჰქონდა. ამ დუქანში ის დვინითა და არაყით ვაჭრობდა საიდუმლოთ, მხოლოდ თვალსაჩინოთ კი წვრილმანს. ეს მლევდელი მუშტარს ზრდილობიანათ ეყიდებოდა, რის გამო მის კარგი ვაჭრობა ჰქონდა. ის მლევდელი მაკლერობდა კიდეც, რადგან მლევდლობიდან გადაყენებული იყო.

პირველ საათზე, პირობებისამებრ, მაკლერი ჩემთან მოვიდა სადილზე წასაყვანად. ჩვენ წავედით.

პირველი ჭიქით მლევდელმა ჩემი სადლეგრძელო დალია შემდეგის სიტყვებით:

— ძია ზაქირია ჩემი მეზობელია. მე კარგათ ვიცნობ მის ცხოვრებას. ისიც ვიცი, რომ მდგმურებს ის ძალიან დაბრიულებული პყავთ; არცერთი მათგანი მას ქირას არ აძლევს, ამიტომ ძია ზაქარია. განიცდის დიდ გაჭივრებას; მე ვიცი, რომ ის ხშირად მშიერიც არის ხოლმე, უსადილოთ. აბა თვითონ ბრძანოს, მართალია თუ არა? ჩვენ

ამას ერთი კარგი მუშტარი უნდა უშოვნოთ,—განაგრძო მღვდელმა ეს სახლი უნდა გაჰყიდოს მან და მით თავის თავს უშველოს, გამოასწოროს თავისი ცხოვრება, რომლის წყალობით მან შეიძლოს ისტორიული წერილების წერა და კარგი წიგნების ბევერდ», თორემ იგი თავის ძვირფას დროს ამ სახლის დგმურებზედ ჰკარგავს.

მოციქულმა მოკლედ დაადასტურა:

— სწორეა, სწორე! მართალი გახლავთ!.. მეც მაგაზედ ველაპარაკები, რადგან ზაქარა მეცოდება. სწორედ რომ მის გაჭირვებაზედ და სიმშილზედ გახლავთ ჩემი ლაპარაკიც.

— არა, არა! ეხლა ზაქირია უარს აღარ იტყვის—დაიწყო მღვდელმა.—ჩვენ ხომ მისი მტრები არა ვართ; ჩვენ მისი სიკეთე გვინდა და არა დალუპვა. ჩვენ გვრცხენიან, რომ თავის მდგმურები-დან ასე დაჩაგრულია და მათი წყალობით მშიერი რჩება. ეს ჩვენ-თვის და ზაქარასთვისაც დიდი სირცხვილია.

მღვდელმა ხელი გამომიწოდა

— აბა ხელი, ძია ზაქარია, ხელი!.. უარს აღარ იტყვი სახლის გაყიდვაზედ

მეტი გზა აღარა მქონდა, ხელი მივეცა და თანხმობა გამო-უცხადე.

ამის შემდეგ მაკლერიც სრულიად დაიმედებული, დამშვიდე-ბული გამომეთხოვა და წავიდა.

დავრჩით მე. და მღვდელი და განახლებულის სუფრით განვა-გრძეთ ნადიმი, სადაც მღვდელმა კვლავ გამიახლა რჩევა-დარიგება ჩემი სახლის გაყიდვის შესახებ, მაიმედებდა, რომ მშიერს არავინ დამტოვებდა და ასე და ამგვარი იმედებით გამისტუმრა სახლში.

მეორე დღეს, დილით ადრე, მოვიდა ჩემთან ის მოციქული— მაკლერი და მიამბო შემდეგი:

— მე შენ გიშოვნი ისეთს სახლის მყიდველს, რომელიც თავის მამასავით შეგინახავს, სანამ ცოცხალი ხარ; აქ ამ სახლში იდგები; იგი გაჭმევს, გასმევს, ავათ გახდები გიპატრონებს, მოკვდები, დაგ-მარხავს. მაშასადამე, ეს კაცი იქნება შენი შეილი და შენ იქნები მისი მძმა. არ ითიქრო, რომ მან შენ დაგჩაგროს, სახლი დაგტუშეს და არ გიპატრონს! არა, ეს ისეთი კაცი არ არის; ეს კაცი ასს შე-ნისთანა კაცა შეინახავს, შენ ამის შიში არა გქონდეს. მე მინდა რომ შენ ეგები მოისვენო და ამ შენს მგელ მდგმურების ოხტში მო-ხვიდე.

ამის შემდეგ მეც დიდი წინააღმდეგობა აღარ გამიშევნია და მძულებული ვიყავი თანხმობა გამომეცხადებინა.

— აი, ეხლა კი მესმის, რომ შენ იცანი, შენი თავის ჰატივის. ცუმა და მეც ამით გამახარე, ცოდვა ხის, გრეიცები პატიოსნებას; ასეთ ბლგმურების ხელში. მე ეხლა წავალ, ხვალ დილით მოვალ და იმ პატიოსან კაცას ცან მოვიყვან, რომელიც შენ სახლს იყიდის და რომელსც შენ პატრიონებას იყისრება. მე შენ მფარველს პატრიონს გიძოვი და არა სახლის მყიდველს. ეს კაცი არის სოფლის მე-შავულე, მდიდარი და კეთილ მოწყალე.

ამის მეორე დღეს მართლაც და ეს კაცი მომიყვანა ამ მაკლეჩმა ის შავგრემანი და მსუქანი იყო, სალაში მომცეს, რის შმდეგ ამ ახ-ლად მოსულმა კაცმა, ამოილო ერთი ბოთლი ჭავის არაყი და დადგა სტოლზე.

— ეს ჩვენი გაცნობისა იყოს!..

მაკლერ იგიშვილმა დაუმატა:

— ამინ! კეთილი იყოს. დღეს ეს და შემდეგ სხვა იქნება.. ამას ფიქრი არ უნდა, შენს მარნებს ამით არაფერი არ დააკლდება.

ეს შავგრემანი ლა მსუქანი კაცი სიკო თათრიშვილი იყო.

ამ სიკო თათრიშვილმა ლაასხა არაყი და გადმომაწოდა ჭიქა:

— უფროსი კაცი ბრძანდებით!.. პირველათ თქვენ მიირთვით და დალოცეთ ჩვენი გაცნობა.

ამის შემდეგ მათაც თითო ჭიქა გადაკრეს და ურთიერთშორი სო შეხვედრა და გაცნობა დაილოცეს.

მე მეგონა, რომ ეს საქმე ამით გათავდებოდა, მაგრამ სმა გა-ნაგრძეს, რის შემდეგ მე ისე დაგსუსტდი, რომ ძილი მომერია.

— ას დროს ძილია!.. ჯერ კიდევ დილაა, წავიდეთ ხაში ვტა-შოთ—დაიწყო თათრიშვილმა.

— არა, ნერ ჯერ სახლის ფასში მოვრიგდეთ და მერე წავი-დეთ ხაშის საჭმელათ—უპასუხა მაკლერმა.

რავიწყეთ ვაჭრობა.

— ზაქარია ამ სახლს ასი ათას მანეთად ჰყიდის—დაიწყო მაკ-ლერმა, თათრიშვილის მიმართ,—ჩვენ ამას მივცეთ ასორმოცდა ათი ათასი მანეთი.

მეც დიდი ფასი მეგონა და ყაბული გაეხდი.

იმ დროს, მენშევკიების ბონები იყო გასავალში, და მაშასადამე მეც ამ ბონებით მოვსტუუდი, 150 ათასი მანეთი ნამდეილად დიდი არაფერს შეადგენდა.

ამის შემდეგ ჩვენ ხაშის საჭმელათ წავედით, სადც ხაშიც ვტა-შოთ და ლვინოც დავლიეთ; კარგათ შევქერიფიანდით. ცველაზედ

უხეიროდ შე ვგრძნობდი თავსა, რადგან ლეინო ყველაზე აღრე მე მომეკიდა.

— აი, ახლა წავიდეთ ნატარიუსთან და „ზაპრადაფნი ზაპისი“ გავაკეთოთ, — დაიწყო მექლერმა.

მე უარი უთხირი. მიზეზათ ჩემი სიმოვრალე დაუსახსლე. მეორე დღისთვის გადაუდევ. და დავიშალენით.

მეორე დღეს ეს პირები კვლავ ჭავის არყოთ მესტუმრენ სახლში, მაგრამ სანამ არყის სმას შეუდგებოდენ მე განუცხადე:

— გუშინ შე მოვრალი ვიყვავი და ამ სახლის ვაჟყიდაობის მოთავარი მიზეზი ვერ გითხარით. ეხლა უნდა გაცნობოთ, რომ ჩემი სახლის გაყიდვა, ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც კუპჩია და-კარგული მაქვს. მეორე კიდევ ის, რომ მე ერთი კაცის მართებს 20 ათასი მანეთი და იმ კაცს მე პირობა მივეცი, რომ თუ მე ჩემს სახლს გავყიდდა, მას უნდა მივყიდო ეს სახლია რადგან, მან ეს ოცი ათასი მანეთი უსარგებლოდ მასესხდ.

ამ ცნობაზედ მათ ელდა ეცაო.

— ას არაფერია! — დაარწევით მაკლერმა სიჩუმე — მე უკუპჩიო-თაც გავყიდი სახლს. კუპჩია საჭირო არ არის: ასც შეეხება შენს მოვალეს, იმისი მისამართი შომეცი და იმ გალის ბარათსაც დავი-სნით და სჯემე ამით გათავდება,

ჩემს მოვალეს 20 ათასს მანეთში 20 ათასი კიდევ ზედმეტი მისცეს და დაიხსნეს ბარათი, რითაც მე უფრო დამავალიანეს მათ და აუტანელი გახდა 40 ათასი შპნეთის გადახდა 20 ათასს მანეთში.

ასე და ამ გვარად ჩემი ბარათის ჩადებით თათრიშვილმა უვა-ლო ქაცი ვალიანათ გამომიყვანა, და ეს 40 ათასი მანეთი სახლის ფასში გამომიბარა, ნაწილი დანარჩენ ფულისა მომცა და ნაწილი, 70 ათასი მანეთი, კი მასზედ დარჩა, რომელიც დღესაც კი ირიცხება მსაზედ.

კუპჩია მოწების დრომ რო მიაღწია, ასე მომმართა:

— ზენ ეს 70 ათასი მანეთი რად გინდა, ხელში შემოგევმევა. მე ვაჭარი კაცი ვარ. ეს ფული ჩემთან დარჩეს, მე ვასარგებლებ და პროცენტს მოგცემ, ასე გიჯობდა.

მეც თანახმა გაუხდი და 70 ათასი მანეთის ბარათი გამოვართვი და მან ჩემი კუპჩია მიიღო.

1922 წ. 22 ივნის ჩემი სამწერლო მოლვაწეობის 50 წლის შესრულების გამო იუბილეი გამიმართეს, სახელმწიფო თეატრში. ამ იუბილეს თურმე სიკო თათარიშვილიც დასწრებოდა, ამ დღეს, სალა-მოს 7 ს. მოვიდა ჩემთან თათრიშვილი და მითხრა:

— მე დღეს შენს იუბილეს დავესწარი. იქ მე შევიტყო თუ შენ რა კაცი ყოფილხარ, ამიტომ მეც მოგილოცავ. მომირთმევია ეს ერთი ბოთლი ღვინო, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს. იქ ლაპარაკი იყო; რომ მე სახლი უნდა ჩამამართვან და შენ დაგიბრუნონ. მე ამის წინააღმდეგი არა ვარ, სახლი შენი იყო და შენი იყოს, ღმერთმა მოგახმაროს, მხოლოდ ის კი უღერთობა იქნება, მე რომ შენი 70 ათასი მანეთი მმართებს, ის ფული გადამახდევინო.

ამ სიტყვამ ჩემზე დიდი გავლენა იქონია. თათრიშვილმაც სწორედ ისეთი დრო მიპოვნა, რომ მე დალლულ-დაქანცული ვიყავი საიუბილეო ზემისაგან და მას ისე აღვილად ვეღარ მიუხვდი მაცრურ კილოს. მეც, დაუფიქრებლად ამოვილე მისი მოცემული ბარათი სტოლის ყუთიდან და გადავეცი.

ერთი კეირის შემდეგ სიკო თათრიშვილი მოდის ჩემთან და მეუბნება:

— შენი იუბილეიდან, უქვეელია, ფული დაგრჩებოდა. თუ გინდა, რომ ეს ფული არ შეგეჭამოს, მე მომეცი, მე ვასარგებლებ და შენ თვიურად სარგებელს მოგცემ.

— მე 20 მილიონი მივეცი და წავიდა ეს კაცი, იმ პირობით, რომ თვეში ოთხი მილიონი უნდა გადაეხადნა ჩემთვის სარგებლის სახით.

ერთმა თვემ განვლო და მოვიდა კიდევ ჩემთან. თათრიშვილი, შემდეგის თხოვნით:

— თუ ფული გაქვს, კიდევ მომეცი სარგებლით 20 მილიონი.

— რათ გინდა რომ კიდევ გასესხო ფული?! შენ მე ამ სახლში სულ მომეცი 60 ათასი მანეთი. იმ 20 მილიონის გარდა, შენ კიდევ 20 მილიონს მოგცემ, ოლონდ ეგ ჩემი სახლი უკან დამიბრუნე.

ის ამაზედ დაფიქრდა და მიპასუხა:

— ჩემს სახლში 20 მილიონი ცოტაა, თუ გინდა ასი მილიონი მომეცი. ნაკლებ ვერ მოგცემ.

ასი მილიონი უზომო ფასი იყო, სამოცი ათას მანათში ასი მილიონი დიდი იყო. ჩვენ ზორის შეთანხმება ვერ მოხდა.

ამის შემდეგ საქართველოს საბჭოთა მთავრობამ სიკო თათარიშვილს ეს სახლი ჩამოართვა და მე დამიბრუნდა, როგორც ჩემი კუთვნილი შემდეგის პირობით: სანამ ცოცხალი ვარ შიგ ვიცხოვრებ, ხოლო როცა მოვკედები, ის მთავრობის საკუთრებათა რჩება. ეს დადგენილება თვით სიკო თათარიშვილსაც ეუწყა, რითაც ატყობინებდნენ, რომ სახლი წ. ჭიჭინავეს დაუბრუნდათ.

ამის შემდეგ კი უსირცხვილოდ გამოდის ევგენი დვალი გაზეთ „მუშა“-ს ფურცლებზე და ათას ჭორებს სთხავს ჩემზე და ცილსა

შწამებს იმაში, რომ თითქოს ეს სახლი მე წამერომიოს თათრიშვილი-სათვის! სირცხვილი მას, ასეთი ყალბი ცნობების გამოქვეყნებისათვის.

სკო თათრიშვილს ჩემს სახლში ორი ოთახი უჭირავს, ქირას არ იძლევა. ამაზე მე „მუშათა და გლეხთა ინსპექციაში“ უჩივლე. იქ გაარჩიეს ჩეუნი საქმე და ვალდებულად გახადეს, რომ ჩემთვის ქირა უნდა ეძლია თვეში 7 მანეთი, მაგრამ არ იხდიდა და საქმე განსაჩივრა, საოლქო სასამართლოში გადაიტანა.

1924 წ. 8 ნოემბერს საოლქო სასამართლომაც გაარჩია საქმე, და სცნო რა კანონიერათ „მუშათა და გლეხთა ინსპექციის“ გადაწყვეტილება, სასამართლომ უცვლელად დაამტკიცა განაჩენი. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ის დრესაც ჯიუტობს, ქირას არ იხდის და თვით დანარჩენ მოქირავეებსაც ამას უკარნახებს, იმ აზრით, რომ როგორმე შემავიწროვოს და იძულებული გამხადოს აქედან წასვლით.

საყურადღებოა კიდევ ის, რომ ინსპექციაში და უველგან ის დაგლევილ-დაფლეთილი მოდიოდა და თავს ლარიბ, ბოგანო გლეხათ აჩვენებდა ყველას.

— მე სოფლის მუშა, ლარიბი, შეუძლო გლეხი ვარ, ჩემს სოფელში მამულები გავყიდე და იმის ფულით ვიყიდე ჭიჭინაძის სახლი — შესჩიოდა ის მათ — მოსამართლეებს.

პირ-იქით, თათრიშვილი სოფლის მუშა-კაცი არ არის და არც ლარიბია. ის მხოლოდ გაქნილი, გაიძვერა კაცია და მოხერხებული. ეს თვით მისი შემდეგი სიტყვებით მტკიცდება, რომელსაც იგი ჩემი სახლის მდგმურებთან ლაპარაკობდა.

— მდგმურებო, თქვენ იდექით ბინებში, ქირაზედ არ შეგაწუხებ, რადგან მე ეს სახლი მუქთად ჩავიგდე ხელში; ერთი ლორი და ერთი ფუთი სიმინდის ფქვილი გავყიდე და იმის საფასურით, ვიყიდე ეს სახლი“-ო.

ეს რომ მართალი არის ამას შემდეგი საბუთები ამოწმებს: 1922 წელს მან თბილისში ჩამოიტანა 100 ვედრო ჭაჭის არაყი; აქედან აღებული ფულით მან შეიძინა ოთხი ურემი შაქარი და კახეთში წაილო გასასყიდათ. იმავე წელიწადს, შემოდგომაზე, ჩამოიტანა შეიდი ურემი წითელი ლვინო; აქედან ერთი ურემა ლვინო მიჰყიდა ჩემს ეზოს მდგმურს გიორგი ალიმბარაშვილს, ვაგზლის პირდაპირ, რესტორანში, დანარჩენი აქეთ-იქით დაყიდა. უგრეთვე აუარებელი ფქვილები, ხახვი, ლობიო, კარტოფილი და სხვადასხვა ჩამოაქვს სოფლიდან თბილისში გასაყიდად, რაც რასაკვირველია, თუ არა ჩარჩს, ვა-

ჭარს ან ფულიანს, ამის შეძლება არც ერთ სოფლის კაცს არ მოეპოვება.

ტვინთხელა და ულოლიკო ევგ. დვალი ძალიან სცდება, როცა ის ჩარჩ-ვაჭარს, სიკო თათარიშვილს იყავს და გაჩ. „მუშა“-ში აცხადებს, რომ ვითომ სახლი მე წავართვი თათარიშვილს. ეს მტკნარი სიცრუეა და ასეთი ტყუილის თქმა არც პატიოსან კაცს ეკადრება, მაგრამ ევგ. დვალს პატიოსნება ვინ მისცა! სახლი მთავრობამ ჩამოართვა და არა მე.

სიკო თათარიშვილის ხელის დამქაშები ევგ. დვალი და არჩილ არჩუაძე იყო, რომლების საშუალებით ის გასასვლელ ფონს დაეძებს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, რაღვან სახლი არა თუ მე, არა-მედ მთავრობაზედ ირიცხებოდა. ბოლოს ჩემს წინააღმდეგ შეკრეს პირობა და განიზრახეს ჩემი მოკვლა.

არჩუაძე თათარიშვილს ურჩევდა: „მე ისეთ კაცს გიშოვნი, რომელიც ზ. ჭიჭინაძეს მოჰკლავს და სახლი შენ დაერჩებაო“, რის გამო არჩუაძემ ფული შოსთხოვა ამ ტერორისტულ აქტის შესასრულებლად. თათარიშვილსაც ეს ჭიჭაში მოუვიდა და შეპირდა, რომ თუ არჩუაძე ამ განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, ის მას სახლშიაც წილს უდებდა. მართლაც, წესამე დღეს არჩუაძემ თათარიშვილს ჩუღურეთიდან ერთი ვიღაც უცნობი კაცი მოუყვანა, რომელსაც მეტ სახელათ „ეკალუას“ უძახდნენ, რომელმაც თურმე ჩემს მოკვლაში 50 ჩერვონეცი სთხოვა. თათრიშვილს ეს ფული ეძირია და 20 ჩერვონეცი შეეძლია, მაგრამ „ეკალუა“ არ დასთანხმებოდა, რის გამო ჩემი მოკვლის ვეგმა ჩაეფუშათ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ განზრახვაზედ ხელი არ აიღეს და მთელი ძალ-ლონით განაგრძობდენ მუშაობას ჩემი მოსპობის შესახებ, ერთ დღეს თურმე არჩუაძე ურჩევს თათრიშვილს, რომ მტკვარში ბანაობის ღრის ქვა დამცენ თავში უცნობის ხელით და ბოროტ-მოქმედების კვალს წყალი დაჰფარავსო და არც ძეირი დაგვიჯდებო.

ამ ბოროტების სამზადისის ამბავი მე შევიტყვე და ამის შემდეგ მტკვარს ალარ მივკარებივარ საბანაოთ 1924 წლიდან.

ამიზნედ არჩუაძე მომართავდა ხოლმე:

— დიდი სიცხეებია, რატომ მტკვარზედ შაბანაოთ არ დაირები? ზაფხულია, ცივ წყალში ბახაობა კარგი არის, მით უმეტეს შენთვის, როგორც დაჩვეულ კაცს.

ეს გეგმა მათ ასე ჩაეშალათ.

1924 წელს, პირველ ოქტომბერს, ჩემი სახლის მართვა-გამგეობა ერთ პატიოსან მუშას,— მაგრამ თავისი მივანდე, ეს გარე-

მოება მათ სასიამოვნოთ არ დარჩათ, რომელსაც (ოქროპირიძეს) და-
უწყეს მათ მტრობა. თათრიშვილმა საჩივარიც კი აღძრა ამ მუშახე,
მაგრამ პირში ჩალა გამოვლებული დარჩა. თათრიშვილი და არჩუაძე
არც ოქროპირიძეს ასვენებდნენ და ამასაც დაუბირეს მოკვლა.

მიმდინარე 1925 წ. 24 ივლისს, არჩუაძე ხანჯლით ხელში მი-
უხტა სახლში ოქროპირიძეს და ცოტა რამე შემთხვევას ხელი რომ
შეემალა არჩუაძისთვის, უჟველია ოქროპირიძესა და მეც,—ორივეს
დაგვხოცდა. ეს შემთხვევა დაბოლოვდა მხოლოდ მით, რომ არჩუაძემ
ოქროხირიძე თავში დასჭრა, მე კი წიხლებით გამოხელა, რომლის შემ-
დეგ მე დაავადმყოფდი და საგრძნობლად დავკარგე ჯანმრთელობაც.

ჩვითი სიკვდილის მოსურნე და სახლის ჭამრთმევი არჩილ არჩუაძე

პირველი ჩემი დაუძინებელი მტერი ევგენი დვალია, მეორე არ-
ჩილ არჩუაძე და მესამე სიკო თათრიშვილი. ამ სამი ცხოველის მცნე-
ბა იყო და არის კიდევაც ჩემი მოკვლა. და მასთან ჩემი სახლის წარ-
თმევაც.

ამის საფუძველი მათ აქვთ იქიდან შეუგენილი, რომ მე მარტო-
ხელი ვარ, მოხუცებული, არავინა მყავს და სწორეთ ამიტომაც უნ-
დათ ჩემი მოკვლა და მოსპობა. ასე უნდოდათ მათ 1918 წლიდან.

დედამიწის ზურგზე უცოდველი არავინ ყოფილა და თვით მაც-
ხოვარიც არ იყო უცოდველიო და მე, როგორც უბრალო მომაკვდავი,
რომ ვიყო ცოდვილი და რამეში დანაშაული, ეს მე როგორც უბრა-
ლო მომაკვდავს, უნდა მეპატიოს. თუ ამ შემთხვევაში, მე არავერში
ვარ დამნაშავე და ჩემი გამკიცხველი და მიწაზედ გამასწორებელი და
მომსპობი, ეგვენ დვალიც სტყუის და მე უბრალოდ და უსამართლოდ
მრწამებს ცოლს, მაშინ რა უნდა ეწოდოს მას, ჩემზედ უფრო მეტის
კიცხვის ლირსიდ იგი, მაგრამ მე მას ვერ გაუბედავ ავიბას და კი-
ცხვას, რადგან იგი თავის ლექსებში პერდაგებს, რომ იგი არის
„დეთის შვილი, მალლა ერთი დმერთია და ძირს დედამიწაზე ევგენ
დვალი, მას თურმე დედამიწაზე არავინ ჰყავს ტოლი და ცალი, მას
ქორწილი აქვს ზეცაში და მისი მეჯვარე არას ქრისტე და სხვა
წმინდანებიც მისი ქორწილის სატუმრები არიან.

ამიტომაც ამისთანა ძრახვის ხელობა მას არ შეფრის, როგორც
სახელოვან პოეტს და არავის შესადარს, მას არ ეკადრება, რომ მე
წორები მომდოს. და ერთი კალმის მოსმით ჩემი მოღვაწეობა დამ-

ციროს, მიწასთან გაასწოროს, წიხლი ჰერის და უსირცხვილოდ და უსამართლოდ მოსპოს. მაგრამ რა უყოთ, იგი ამას დაჩვეულია და მისგან არა ერთი და ორი კაცი დაწიხლულა და მოსპობილა, ვინაიდან იგი გმირი კაცია, ჯანიანი და აბა მას ვინ რას შეჰქადრებს და გაუბედავს, იგი ყველას მიწაზედ გააქრობს, ამიტომ მეც უნდა მეშინოდეს მის, ვინაიდან მე პატარა ჭია ვარ და იგი კი დიდი პოეტია, მე მფარველი არავინა მყავს და მას კი თავის ჯანი აქვს და იგი ახალგაზიდაც არის, ამიტომაც მე მას ყოველთვის უნდა ვერიდებოდე.

მე ევგენ დვალის ვიცნობ აღრიდანვე, როცა იგი რეინის გზის სახელოსნოში სწავლობდა, მერე ჩვენი მეგობრობა მოისპო, იგი კატორგაში იქნა გაგზავნილი და ამან დაგვაშორა ერთმანეთს. 1917 წ. იგი საქართველოში დაბრუნდა. 1918 წ. მე დამიახლოვდა, ვინაიდან მან ქართული წიგნის გამოცემა დაიწყო. ჩვენი დაახლოების შემდეგ იგი მე ხშირად მპატიუობდა სადილათ და ვახშმათ, ამის უარს ვიტყვი.

ევგ. დვალიმა ქარგად გაიცნო ჩემი ცხოვრება, ისიც შეიტყო მან, რომ მე მაქვს ჩემი საკუთარი სახლი, ერთ დღეს ჩემი სახლიც ზახა, მან მკითხა ჩემი სახლის ამბავი, მეც უამბე, რომ მდგმურები სასტიკათ მჩაგრავდენ და მის გამო ლუქმა პურიც მენატრებოდა, ამაზედ დვალი გაჯავრდა, გაბრაზდა მის შემდეგ მან უფრო გამიხშირა და პატიუება და პატივისცემა.

ამ პატიუების დროს, ერთ დღეს მან მითხრა ასეთი დარიგება: რადგან შენ ასე დააჩვრული ხდე შენი მდგმურებისაგან, ამიტომ მე შენ გიშოვნი ერთს ისეთს კაცს, რაჭველს, რომელსაც შენ გადასცემ შეძეს სახლს. და ის უპატრონებს ამ სახლს და შენ მუდამ თვე ქირას წინათვე მოგცემს. ამაზედ მე ღრდათ გამეხარდა და დვალს დიდი მაღლობა ვუთხრი.

მეორე დღეს მე მივედი დვალთან, მან სადილათ წამიუვანა ერთ რესტორანში და იქ სადილის დროს, გამაცნო ერთი კაცი, რომელმაც სადილიც ჩვენთან დაიხლათ, ეს კაცი გახლდათ არჩილ არჩუაძე, ვისაც ევგენ დვალი მაშინ არჩილიკას უწოდებდა.

ამ დღეს ევ. დვალმა მომცა ასეთი დარიგება.

ია ეს კაცი არის არჩილ არჩუაძე და მე მას ვუწოდებ არჩილიას. ეს კაცი რაჭველი კაცია, შენც რაჭველი ხარ, ეს არჩილიკა დიდათ პატიოსანი კაცია, შენი სახლი ამას გადაეცი, აგი მოუვლის შენ სახლს და შენც შეგინახავს, გაცხოვრებს; მეც გამეხარდა და ევ. დვალს მაღლობა განუმეორე. ამ დღეს სადილი ერთათ გავათავეთ

და არჩეაძე მე წამომყვა ჩემი სახლის სანახავად, ნახა ჩემი სახლი და
მას მოეშონა დიდათ, და მკითხა:

— შენ სახლში თვეში რას იღებ ქირას?

მეც უამბე ყველაფერი დაშვრილებით, ვაუწყე, რომ მე თვეში
ქირა უნდა ავილო 230 მანეთი, მაგრამ ისეთი მდგმურები მყავს, რომ
მათგან ვერც 30 კაპეიქს ვიღებ.

ეს მოისმინა არჩილ არჩეაძემ და მე მითხრა შემდეგი დარიგება:

შენ რაჭველი კაცი ხარ. მოხუცებული, ცოლშვილი არა. გყავს,
შენ ეგ სახლი ჩენ გადმოგვეცი—მე და ევგენ დავალს და ჩენ შეგი-
ნახავთ, ეხლა თუ თვეში 230 მანეთს იღებთ, ჩენ მოგცემთ 250
მანეთს.

ამ ამბავმა დიდათ გამახარა, მაგრამ სახლის ვადაცემაზე კი
უარი უთხარი. მე ეს სახლი „ქართველ წერა-კითხვის სასოგადოება-
ზედ“ მაქვს გადაცემული და დაატკიცებული, ამიტომ მისი გადაცემა
სხვებზედ ჩემთვის უხერხულია, რადგანაც ჩემი სიკლილის შემდეგ ამ
სახლს პატრონობას გაუწევს ხსენებული საზოგადოება.

ამის შემდეგ არჩილ არჩეაძემ აღარა სთქვა რა და ბოლოს მე
მითხრა შემდეგი სიტყვა:

— რაკი საქმე ასეა, მაშ ეს სახლი მე მომეცით იჯარით და მე
მოუგლი ამ სახლს.

მე ფასი ვკითხე. მან მითხრა პასუხი.

— მე რაც გითხარი, თვეში 250 მანეთს მოგცემო, ამასაც ყო-
ველთვის წინდაწინ.

ეს ამბავიც დიდათ გამეხარდა მე და იმედი მოშეცა, რომ ამ 250
მანეთით მეც ვიცხოვრებდი და წიგნის დასაბეჭდი თანხაც გამიჩნდე-
ბოდა.

ამით მე ისეთი სიხარული მოშეცა, რომ ამის სიხარულით ცას
დავეწი.

ამ დღეს ეს ამბავი გათავდა, ხოლო მეორე დღეს მოვიდა ჩემ-
თან არჩილიკა და გამომიცხადა, რომ მისთვის ერთი ოთახი ეხლავე
მიმეცა საცხოვრებლად, რომლის მიზეზად სახლის მოვლა-პატრონო-
ბას ასახელებდა. მე მას ჩემი ოთახი დაუთმე. არჩილიკამ სახლის იჯა-
რით მიცემა ერთი წლითა მთხოვა. ამაზედ არც მე გაუხდი წინააღმ-
დევი, ჩამაბარა 250 მანეთი და წავედით ნოტარიუსთან პირობის
შესაკერძოლათ. ნოტარიიალურ ხარჯებს მოუნდა 120 მანეთი. ეს ფული
მე გადავიხადე. ამის შემდეგ არჩილიკამ დამავალა, რომ ეს ოთახი
შემცემებინა და მისთვის ისე გადამეცა. მე უარი აღარ უთხარი. ის
წავიდა სოფელში ცოლის ჩამოსაყვანად.

არჩუაძის ოთახის შეკეთებაზედ მე დამეტარჯა 70 მან. მის მო-
ცემულ ფულიდან მხოლოდ 60 მანეთიღა დამრჩა.

არჩილიკა ჩასახლდა ჩემს სახლში და როცა ფეხი გაიმაგრა, მა-
შინ სულ სხვანაირად დაიწყო მოქმედება მე მივხვდი, რომ ის კეთი-
ლი კაცი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ რას ვშზამდი, ვერაფერს ვერ
დავაკლებდი.

ერთხელ ეს არჩილიკა ევგენ დვალთან შემრეგს შეუტნება:

— ძია ზაქარია! შენ ერთი მოხუცებული კაცი ხარ, ეს სახლი
რას გიმატებს, რომ შენის სახელზე არის. ეს სახლი მე გიდმომეცი
სრულიად. მუდამ თვე 250 მან. კიდევ მოგიმატებ.

ის დვალისაგან იყო დარიგებული. ლაპარაკში დვალიც ჩაერია,
მე უარზე ვიდექი. დვალმა არჩილიკას რალაცა დარიგება მისაც და
წავიდა.

მესამე დღეს არჩილიკამ თავის ოთახში მიმიწვია და მითხრა
შემდეგი:

— ძია ზაქარია! შენ მე მომატყუე, — მომმართა არჩილმა, — ერთი
წლით სახლის იჯარით მოცემა, აბა როგორ შეიძლება. ერთ წელი-
წადში მე მდგმურებსაც ვერ გავიცნობ. ასეთი საქმისთვის 10—15
წელიწადია საჭირო. წავიდეთ ნოტარიუსში და ჩეენი პირობა დაშა-
ლოთ და ახალი დამიწერე. შენი სახლი ათი წლით მაინც მომეცი
იჯარით, დასაშტკიცებელ ხარჯებსაც მე გადავიხდი.

მეც დაუფიქრებლად დავვთანხმე და გავყივ ნოტარიუსში ახალი
პირობის შესაკვრელად.

ამ დროს ერთმა, ჩემთვის სრულიად უცხო, ახალგაზრდა ყმაწ-
ვილმა კაცმა მითხრა გზაში ჩუმათ:

— ძია კაცო! შენ მაგ დვალსა და არჩუაძეს უფრთხილდი. მა-
გათი აყოლა შენ ხელს არ მოგცემს, შენ სახლს წაგაროთმევენ. აფე-
რისტობას გაგიწევენ. არჩუაძე კაცის მკვლელია. მაგან ნაძალადევში.
ერთ კაცს სახლი დაუწვა.

მე მაინც გავყევი მას ნოტარიუსში. არჩუაძე ნოტარიუსს სთხოს,
რომ პირობაში სახლის ათი წლის იჯარით ჩაგვიწეროს. ნოტარიუსი
უხსნის, რომ საჭიროა ხელახალი პირობის შედგენა, რომელსაც კი-
დევ 120 მან. დასჭირდებათ. არჩუაძეს ამ ფულის გადახდა ქირაში
უნდოდა, ეს არ ვქენი. პირიქით მე მას მოვსთხოვე, რომ ან უკან
დაებრუნებინა ჩემი სახლი, ან და ძეელი პირობა ძალაში დარჩენი-
ლიყო. ამაზედ არჩილი გაბრაზდა და ჩემს შიმართ დაიწყო ქუჩრი
ლანდლვა-გინება და სიკვდილით დაქადნება: ეს იყო პირველი ნაბიჯი
მისი, პირველი დებიუტი ჩემს წინააღმდეგ მომართული. ამ დღიდან

მე მას სიახლოეს აღარ ვეკარებოდი, რადგან ჩემთვის სახიფათო პი-
როვნებას წარმოადგენდა ეს გაებატონი არჩილიკა.

არჩაძემ მდგმურებისაგან დაიწყო ქირების აკრეფა და თავის
სასარგებლოდ მითვისება, მე კი ცალ ფულსაც არ მაძლევდა, და თუ
მოვსთხოვდი და თავის ვალდებულებას გავახსენებდი, მაშინ მომდგე-
ბოდა. და უშვერის პირით დამიწყებდა გინებას და მოკვლასაც ახსე-
ნებდა. პირიქით ის მამუნათებდა და მავყელრიცა, რომ მას მოტყუე-
ბით გაღავახდევინე 250 მანეთი. ამის შემდეგ აღარაფერს ვეუბნებო-
დი ამ შარიან კაცს და ვერიდებოდი, რომლითაც უფრო თამაძე-
ბოდა, ეკგ. დვალი კი, რომელიც მუდამ არჩილის დამქაში იყო, სი-
მართლის აღდგენის შაგივრად, პირიქით მას ესარჩლებოდა და ხში-
რად შეუბნებოდა:

— აღლე და მიეცი არჩილის სახლი. შენ რათ გინდა; არჩილი
შეგინახავს; შენ მაინც მოვლის თავი არა გაქვს. მოხუცებული ხარ.

ამის შემდეგ მე დვალსაც ჩამოვშორდი, რადგან აქ მე აშკარად
ვხედავდი როგორ ესარჩლებოდა დვალი და გეგმებს უდგენდა არჩვა-
ძეს ჩემი დაღუპვის შესახებ.

ასე და ამგვარათ მთელი წლის განმავლობაში არჩვაძემ აიღო
1200 მანეთი ქირები. ამას მე ვითმენდი იმიტომ, რომ წლის ბოლოს
ჩემი სახლი ისევე მე დამიბრუნდებოდა, მაგრამ მოვსტყუვდი. არჩა-
ძემ არამც თუ სახლი დამიბრუნა, აღარც ის ოთახი დამიცალა, სა-
დაც თვით იდგა და მის ქირას კი არ მაძლევდა. ერთი წლის განმავ-
ლობაში მდგმურებისაგან ქირას იღებდა და მეც ხმას არ ვსცემდი
რომ ერთი წლის შემდეგ ვადა გაუთავდებოდა მას და ჯანდაბას მისი
თავი, მაშინ თავათ მომშორდება და წავთქო აქედამ. ასე ვიმედობ-
დი და ხმას არ ვცემდი.

წელიწადი გათავდა, ქირის აკრეფას თავი დაანება და სახლი
კი მაინც არ დამიცალა, მე როცა ვეტყოდი ქირაზე რამეს, მაშინათვე
დამიწყებდა ყვირილს:

— მოგკლავ, მოგკლავ, მოგკლავ და მოგკლავ!

მისი მუქარისისაგან მოვბეზრდი და ბევრი ველარ მოვითმინე და
1923 წ. 3 დეკემბერს „მუშათა და გლეხთა“ სამართველოში უჩივლე.
საქმე გაირჩა და მას იქ დააკისრეს ძველი ქირის 8 ჩერვონცი და თუ
სახლში კიდევ იდგომებოდა, მას ჩემთვის ქირა უნდა მუდამ თვე ეძ-
ლია, მაგრამ არც ეს შეასრულა მან. ამ დადგენილების ორი კვირის
შემდეგ, მე მიჩივლა „მუშათა და გლეხთა სამართველოში“, რომ ვი-
თომც მე მისი 7 ჩერვონცი მმართებს. ამისათვის მას ეშოვნა სამი
ტყუილი მოწამე, ამაში პირველი გახლდათ ევგენ დვალი და თხოვ-

ნაც თვით ამან დაუწერა და თვით აშისივე გეგმით და დარიგებით მიჩივლა.

საჩიტოს საბუთად იგი ასახელებდა ცრუ სამ მოწამეს, ყითომც მე მას-თან ვიყავი ნახლებნიკათ და მის ფული მემართა მე. საქმის გარჩევის დროს სამმართველოში მოვიდა არჩილ არჩეაძე და მისი ტყუილი მოწამე ევგენ დვალი, ორი მოწამე არ მოჰყავა, მარტო დვალი მოვიდა. როგორც შევიტყვე მათ ტყუილის მოწმაბაზედ უარი უთხრეს და მას მარტო ევგენ დვალი-ლა შერჩა. ამიტომ საქმე არ გაირჩა და არჩეაძეს დარჩა გამტყუნებული.

ამის შემდეგ, არჩეაძე და ევგენ დვალი თავიანთ ეშმაკურ აფერისტობას მაინც თავი არ დაანებეს. ავაზაკობის მოსაწყობად ახალი გზა გამოძებნეს, ეს მათი ახალი გზა გახლდათ ჩემი დაბრიყვება, შეზრდნება და კიდევ მუქარები და სხვაც ასეთი, რითაც მეც შევშინდი როგორც უპატრონო და უთვისტომო კაცი.

ერთხელ თურმე ევ. დვალი ეუბნება არჩეაძეს:

წიხლი ჰერი და საღმე, უგზო-უკლო ლრეში გადაჩეხეო”.

დვალისაგან გაბრიყვებული და გასულელებული არჩეაძეც ასე იქცეოდა. ერთ დღეს, როდესაც დვალი მასთან იყო, სრულიად უმიზეზოთ, საღამოს ხანს, ამიტება არჩეაძემ ჩეუბი და მოსაკლავათ იწია. ამ საღამოს მე დავიმალე და სრულიად შემთხვევით გადავრჩი არჩეაძეს ხელიდან სიკვდილს, ხოლო გათენებისას მან მაინც თავისი გაიტანა და სახლში დამეცა მოსაკლავად.

— კაცო! რისთვის! რაზედ უნდა მომკლა? რა დაგიშავე? რა გიყავი ისეთი რომ მოკვლას მემუქრები? ვეხვეწებოდი არჩეაძეს.

— შენ მე მომატყუე, 250 მანეთი წინეთ მოგიცი და საქმე გამიცრუე. შენ სახლის მოცემას დამპირდი ევ. დვალთან და მერე კი აღარ მომეცი, ატკაზი მითხარი. აი ეს არის მიზეზი შენის მოკვლისა! — გაპყვიროდა არჩეაძე. თან მირიგდებოდა — თუ არ გინდა რომ მოგქლა, ქირაზე ხმა არ ამაილო და ნუ გადამახდევინებო.

როგორც იყო დაგაშოშმინე ეს კაცი და მოვიშორე.

ეხლა ვალად ვსთვლი, რომ ამ წერილს ცოტათ აქ გზა აუზვიოდა ვილაპარაკო არჩილ არჩეაძეს ყოფა-ქცევის შესახებ, რომ მის შემდეგ ეს მისი დესპოტობა ჩემს წინააღმდეგ აღარ იქმნება ვისთვისმე საეჭვო.

1907 წ. მონარქიული მთავრობის უანდარმერიის ბრძანებით შევიყავი დაპატიმრებული, ვინაიდგან ჩემს სახელობის სტამა „სორაპანში“ დაიბეჭდა ერთი წიგნი. „ვირი და მუშა“ ბრადაგასი. ამაზედ მე მსჯიდენ 129 მუხლის ძალით. ჩამაგდეს მეტებში, ამის მიზეზი ის

იყო, რომ შენ სტამბაში, ბრალიაგას „ვირი და მუშა“ დაგიმეჭდიავო, მე ვიყავ მეტებში დაპატიმრებული და იმ დროს, როცა ციხის ეზოში გამოვიდოდი, ხანდისხან იქ კინტუა ტუსალებში გაიმართებოდა ერთი დიდი ჩიხქოლი და ყვირილი.

მერე ეს ტუსალები გამოუდგებოდენ ერთს ტუსალს და დაუწყებდენ ლანძღვა, გინებას და ათასაც კიდევ სხვა ასეთებს. მე ეს გარემოება მეუცხოვა ტუსალებისაგან და ვკითხე ტუსალებს ამ ტუსალი კაცის ისე ლანძღვა, გინება და მუჯრება, ტუსალებმა მიამბეს შედეგი:

ეს ტუსალი არის არჩილ არჩუაძე. ამ კაცმა ერთ კაცს ფული გამოართვა და მის მაგიერ, იქვე ნაძალადევში, მეორე კაცს სახლი დაუწიო, ამავე სახლში იდგა ერთი მარტო ხელი კაცი, იმ კაცს თურმე მტერი ჰყვანდა, ამ მტერს კაცს ფული გამოართვა და იმ მარტო ხელა კაცს, გარედამ კარები გადუკეტა და ის კაციც შიგ ამოიწო.

ეხლა ეს მხეცი აქ არის დაპატიმრებული და თავს მართლულობს, ამას ჩვენგან გალანძღვა კი არა, მოსაკლავი გახლავსთ, იმავე წელს მე ციხიდან გამოვიდი და მას შემდეგ მე ეს არჩვაძე სრულიად დამაკიტუდა. ამის შემდეგ გავიდა 12 წელიწადი და აკი ეს უსამართლო მხეცი მე დამიახლოვდა ევგენ დვალის დახმარებით.

ჩემდა საუბედუროო, ამ ტუსალის ცნობა მე სულ გადამავიწყდა, მისი ცნობა ვამახსენდა მხოლოდ მაშინ, როცა მას ჩემი სახლის ნატარიული პირობა უკვე ჯიბეში ედო. მაშინ ბევრი ვიწუხე, მაგრამ რალას ვიზამდი. არასფერს. მაინც არჩილ არჩვაძეს შეუსრულდა წადილი, ჩემი სახლის ქონგა ჩემის ლამარცებათ გათავდა, არჩვაძემ და მისთანა დგმურებმა იქამდის მომაბეზრებს, რომ ეს ერთად ერთი სახლი, ჩემი თავშესაფარი, ისტორიულ ბინა და შთენი, ერთმა ჩარჩიმა, ერთი მაკლერის ეშმაკობით დამტყუდა და უფულოთ წამართვეს.

მაინც არჩვაძესაგან მე კეთილი არ დამეყარა და ევგენ დვალმა და არჩვაპეტ ჩემს გულსა და სულში მათ ის უქრობელი ჯოჯოხეთის შხამი აანთეს, რითაც სახლი გამეყიდა უფულოთ, მოტყუებით და დაპატიჟებით და სადილების ჭამით, რაც მერე ეს სადილები ჩემთვის შხამათ გადაიქცა. ჩემი ასე მოტყუელება და სახლის დაცინულისათვის ამბები ჩვენმა კომუნარულმა მთავრობამ შეიტყო და 1922 წ. როცა ჩემი ზეიმი იყო სახელმწიფო თეატრში, მაშინ ეს სახლი ჩემს მცარცვავ ჩარჩი სიკო თათარაშვილს ჩამოართვეს და მე დამიბრუნეს ასე:

ამ სახლით მე უნდა ვიცხოვრო და ჩემი სიკვდილის შემდეგ გადადის მთავრობის საკუთრებათ. ეს გარემოება სიკო თათარაშვილს შხამივით მოედო გულს, ველარა გააწყო რა და არჩვაძის დახმარე-

ზით და ჩაგონებით დამიშყო მე მტრობა და ერთთავათ სულ შემდეგ
სიტყვებს მიყვარდა:

მოგვლავ, მოგვლავ და მოგვლავ. და არც დავიშალები თათარი-
შეილის ასეთ მუქარებას მე ყურადღება არ მივაჭურ და არჩვაძეს მაინც
სახლი ჩამოვართვი 1924 წ. მარტის 20-ში. ამ კაცს იქვე ჩემს სახლში
მივეცი ოთახი, მაგრამ იგი მაინც არ დაწყნარდა და მე მტრობდა, რომ
სახლი შენი არ არის და მე რათ წამართვიო. ეს კაცი არც ქირას
მაძლევდა და არც სახლს მიულიდა. ამ საქმეში მე დამეზმარა ერთია
იურისტი, ოთახებ შე ამას ვერ დავაკლევინებდი ოთახს.

იმავე დროს, ჩემს სახლში იდგა და ეხლაც დგას ხელოსანი
ბაგრატ ოქროპირიძე, რკინის გზის სტამბის მუშა და კომ. პარტიის
წევრიც. ეს კაცი თავის ცოლშვილით იდგა ერთს ციცი და ბნელს
ოთახში, იქ ამის ბავშვები სულ ავათ იყვნენ, ექიმები ეუბნებოდენ.
რომ ოთახი გამოცალეო, მაგრამ იგი ოთახს ვერ შოულობდა; ამი-
ტომ მე შეველ მის უკავირებაში, რომ ბავშვები არ დახოცოდა, რად-
განაც 1923 წ. ერთი ბავშვიც მოუკვდა იმ ოთახისაგან. რომ სხვა ბავ-
შვიც არ მოჰკვდომოდა, ამ ბავრატ ოქროპირიძეს დაუთმე ჩემი ოთა-
ხი, ის ჩემს ოთახში დადგა ცოლშვილით და მე მის ოთახში გადა-
ვედი, ეს იწყინა არჩვაძემ: მე ზაქარიამ სახლი წამართო და ოქრო-
პირიძეს მისცაო. ამიტომ ამ კაცმა ოქროპირიძეს უკური დიდს მტრიდ
გაუხდა და დაუწყო მტრობა.

არჩვაძე არის უშვილო კაცი, მას ეხლა მესამე ცოლი ჰყავს და
ესეც უშვილო არის, სახლში მარტოთ ეს ერთათ ერთი მისი ცოლი
სცხოვრობდა, თვით არჩვაძე კი უშეტესათ კახეთში სცხოვ-
რობდა, ვაჭრობს და ჩარჩობს იქ, ამიტომ მე ერთხელ არჩვაძეს ვთხო-
ვე კიდეც, რომ მას ეს ოთახი ოქროპირიძესთვის მიეცა. მაგრამ მან
უარი სთქვა ისე, როგორც ეს ზევითაც მოვისხენეთ.

არჩვაჩემ ეს დავალება არ შეიწყნარა და ოქროპირიძეს დაუწყო
გმობა, ყვიროდა.

— ოქროპირიძეს ოჯახი გინდა სულაც გაწყდეს და მოისპოს,
მე მაინც მას ოთახს არ მივცემო.

ამიტომ მეც გაემრაზდი იმის საფუძვლის ძალით, რომ იგი არც
ქირას იძლევა და არც რიგიანათ იქცეოდა და მუდამ სულ მოკვლის
მემუქრებოდა, ერთი იურისტი დამეზმარა და მას ჩემი ქარგი ოთახი
წაგართვი, მცს ოთახში მე დავდექი და ჩემი ოთახი მას დაუთმე.
ივნისის რიცხვებში, მე შევედი ოქროპირიძის ბავშვების გაჭირებაში
და ჩემი ოთახი მას დაუთმე და მის ოთახში მე დავდექი.

ახლა ამაზედ ატყდა არჩვაძე, ყვიროდა: სახლი შენი არ არის,

სახლი თათრიშვილს, ექუთვნის, შენ რათ წამართვი სახლი, ოქრო-
პირიძეს რათ მიეცი.

მეც მიუგე პასუხი.

— სახლი საქართველოს მთაერობისა არის. იგი თათარაშვი-
ლისა არ არის. ბაგრატის თავი დაანებე შენ და მის შვილებს. მაგ-
რამ იგი მაინც არა ცხრებოდა, რადგანაც მას თათარაშვილი სთხოვ-
და რომ ჭიჭინაძე შეაწუხეო, ამისთვის თათარაშვილი მას ფულსაც
აძლევდა თურმე. ამ უსამართლო მხეცის მაგალითს მიჰყეა თათრი-
შვილიც და მათ შეერთებულის ძალით დაძიწყეს დევნა, ლანძღვა,
გინება; მუქრება და მოკვლის ძახილიც. ამათ გამიჭირეს საქმე და
მომაბეზრეს, სცდილობდენ, რომ რაც შეიძლება მაგრა შევეწუხები-
ნეთ, რომ იქმნება ამ შეწუხებას მოვრიცებოდი და სხვაგან წავსუ-
ლიყავ და მაშინ მათ შეუსრულდებოდათ წადილი. მაგრამ მე მაინც
მათს ჯინჩედ არსად მივდიოდი, ბოლოს მათ ჩემი მტრობა უფრო
გააძლიერეს, ამაზედ აქ არას ვიტყვი, რადგანაც ამ მხეცების ამბავი
ზემოთ არის აწერილი, ერთს კი ვიტუვი აქ. ამათი წადილი იყო ის,
რომ მე მოვეკალით, მაშინ თათარაშვილს სახლს უკან დაუბრუნებ-
დენ და არჩვაძეს იმ ოთახს მისცემდენ, რომელშიც იმ დროს ოქრო-
პირიძე იდგა.

ჩემს მოსაკლავათ ტერორისტიც იშოვეს „რუსთველის“ პარტიის
წევრი ჩულუკეთელი ეკალუა. ამას ჩემს მოკვლაში 20 ჩერვონცი აძლიეს,
მაგრამ ტერორისტმა არა ქმნა 50 ჩერვონც ნაკლებ და მიტომ მათი
საქმეც ჩაიფუში, ვერა გააწყეს რა, ამის მერე არჩვაძეს აქვანდა მეო-
რე დავალებაც, რაც უფრო ადვილათ იქმნებოდა შესრულებული ჩემი
მოკვლით, ეს ოსტატობაც არჩვაძეს ხელობა არის თურმე.

მე ზაფხულში ერთობ ხშირად ვბანაობ მტკვარში, დილით ად-
რე მივღივარ სატივოზედ და იქა ვბანაეობ. არჩვაძეს თათრი-
შვილს დარიგება მისცა, რომ მე უნდა მომკლას ერთმა ტერორისტმა,
რომელიც წყალში ბანაობის დროს ქვას მესვრის თავში და თავს
გამიტეხავს. ამ დროს, იგივე ტერორისტი გამოექანება რომ მე წყალ-
ში ჩამალრჩოს, მე წყალი წამიღებს, ასე და ამ გვარათ ჩუმად ჩაი-
კლის ჩემი მოსპობის საქმე და ხალხიც იტყვის, რომ წყალში ბანაო-
ბის დროს დაიხრიოვო და წყალმა წაიღოვო.

მადლობა ღმერთს, მე მათ ეს გეგმაც შეუტყე და მტკვარში
ბანაობაც მოვსპე, ასე და ამ გვარათ მათ ეს მესამე გეგმაც ჩაეფუ-
შათ ჩემის მოკვლის.

ამ წერილს დამთავრება შემდეგი ცნობები და ამაზედ პასუხი
მომცეს პატვე ევ. დვალმა:

სიკო თათრიშვილი.

სიკო თათრიშვილს ჩემი სახლი მიგუიდე 150 ათს მანეთში. ამ ფულში მისგან მე მივიღე 60 ათასის მანეთი, დანარჩენი კუპჩის მიღების დროს მმოცა ბარათი, ზის მეტე ჩემი ზემის დღეს ეს ბარათიც დამტყუფა მან. ამ გვარათ დღეს თათარაშვილს ჩემი მართებს 190 ათასი მანათი ერთი. მე ასე 1923 წ. ჩემი ვალის მერმე დღეს მე ვასესხე სესხათ მას 20 მილიონი მანათი, ეს ფული დღესაც მასზე ირიცხება. მესამე მას მართებს ჩემი სამი წლის სახლის ქირა რაც შეადგენს 1300 მანეთს.

არჩევა არჩევა

პირველი.

არჩილ არჩევაძეს მართებს ეჭვის წლის სახლის ქირა, ამის საჩივარიც იყო 1923 წ. ამის გადახდის ლისტი პრისტავთან არის. მისი ავეჯიც აწერილია, ბარგი მე არ გავყიდე და ბარგი თან წაილო. მან.

მეორე. მასვე, არჩევაძეს ჩემი მართებს კიდევ ერთი წლის და რეა თვის ქირა. ეხლა, როცა მან ბაგრატ ოქროპირიძის სისხლი დალვარა 1925 წელს 24 ივნისს, მის მესამე დღეს გაიპარა თავის სახლში გადავიდა. აწერილი ბარგიც თან წაილო და ქირაზე სიტყვა კრინტიც არ სთქვა.

ბრძანეთ ეხლა თქვენ ევგ. დვალო, თუ უინ დაარბია, მე დაგარბიე თათრიშვილი და არჩევაძე, თუ მათ დამარბიეს მე, ერთი სახლი მქონდა და მოხუცებულ კაცს იმდენი ეშმაკობა მიყვეს, რომ ეს ერთათერთი სახლიც დამცინცლეს და მის სამაგიეროთ ქუჩაში დამაგდეს უმწეოთ...

ასე და ამგვარად, არჩევაძეს ჩემი მართებს ეჭვის წლის ქირა ერთი და მეორე: ერთი წლისა და რეა თვის ქირა. ამის ვალში მისი სახლის ავეჯიც აუწერე და კი არ გაუყიდე. ეხლა გადავიდა თავის საკუთარ სახლში და ყველა ეს ქირაც თან გაიყოლა:

სიკო თათარიშვილი

ჩემს სახლში მომცა 60 ათასი მანეთი. ახლა მემუქრებადა მოკვლას.

ამიტომ მეც დავიწყე სხვაგან გადასვლის თათბირი, ეს სახლი ოქროპირიძეს გადაეცი მოსავლელათ 1924 წ. ოქტომბრიდან, ნოტარიულის პრინტით.

ოქროპირიძემ ამის შესახებ მდგმურებსაც აცნობა, რომ ამიერიდგან ის მათვან მიიღებდა ბინების ქირას.

ამის წინააღმდეგი თათარაშვილი და არჩევაძე გამოვიდა. არჩევაძეს შუქარა იმდენად გამწვავდა, რომ მე შემცინდა და 1 ინვალიდთა სახლში გადავედი და იქ მოვთავსდი საცხოვრებლად.

ამ მხეცმა კაცმა, არჩევაძემ, იმდენი ქნა, რომ ზოგიერთი მდგმურებიც კი მიიმხრო და გადააბირა, ერთი ასეთთაგანი გახლავთ თვით ჩემი დაუძინებელი მტერი და ნათესავი ეფემია დოლმოზაშვილიც იყო. რაკი არჩევაძეს ეს ჩემი ნათესავიც მიემხრო, მაშინ ფეხი უფრო მოიკიდა და ბაგრატ ოქროპირიძეს წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება, მას ოქროპირიძისაგან ისა სწყინდა, რომ შან რათ იყისრა ჩემი სახლის მართვა გამჯეობაო, რადგან ბაგრატ ოქროპირიძე მას კირას სთხოვდა, ამ შეჩვენებულ მხეცს კაცს, ვერც ოქროპირიძემ გაუძლო, ამიტომ მან სახლის გამგებლობაზედ ხელი აიღო და 1925 წ. ივნისში, ისევ მე დამიბრუნა, რომელშიაც უკანვე გადმოვზარგდი და ისევ მე შეუდექ ჩემი სახლის გამგებლობას.

ამის ერთი თვის შემდეგ, ე. ი. ივნისში, არჩევაძე მოვიხმე ჩემთან სახლში და ძველი დარჩენილი ქირა და ახალის თვისა მოვთხოვე, რომელიც არც ოქროპირიძისთვის მიეცა, ეს ქირა ერთი წლისა და რვა თვისას შეადგენდა.

ამ ლაპარაკის დროს ოქროპირიძეც შემოგვესწრო. არჩევაძე ქირის გადახდაზედ უარობდა. მე მას ვთხოვე, რომ სახლი დაეცალა და არც ძველი და არც ახალი ქირა არ მინდოდა მისგან. დაიწყო ჩხუბი, ლანძღვა-გინება და დავიდარაბა. ოქროპირიძემ შენიშვნა მისცა, რომ მუქრება არ არის კარგიო. არჩევაძემ მჯეხეთ უბასუხა: „ეს შენი საქმე არ არასო“. ამაზეც ორივენი შელაპარიკტნენ და გავიდნენ გარეთ. მეც შათ თან გავყევი. იგინი გარეთ უფრო გაცხარდნენ. ოქროპირიძემ თავის სახლს მიაშურა, მხოლოდ არჩევაძე არა სკრებოდა იმ ზომამდის გახელდა, რომ ავარდა თავის სახლში და ცოლს უყვიროდა:

— ლივერი! ლივერი ჩქარია!..

მაგრამ ცოლმა ლევორველი დაუმალა. მაშინ არუჩევაძემ ხანჯალს სტაცა ხელი და ოქროპირიძის ოთახისკენ გამოექანა; ოთახი შიგნით დაკეტილი დახვდა, დაიწყო ხანჯლის ტრიალი ოქროპირიძის მოსაკლავათ და მთელი კარების და აკოშკის შუშები ჩაუმტკრია, ამისაგან ოქროპირიძის ბავშება დაფეთიანდენ. ერთი სიტყვით არჩევაძე გიგი კამეჩივით შიგნით. ოთახში ოქროპირიძის და მის იჯახის ასაჩენათ. იმ დროს, ოქროპირიძის ცოლ-შვილმა დაიწყო წივილ-კივილი, რის შემდეგ ბაგრატ ოქროპირიძემ კარები გააღოდა კარში გამოდიოდა, ამ მხეცის დასამშვიდებლად, მაგრამ არჩევა

ძემ იხელთა დრო, გაუშალა ხანჯალი და ოქროვირიძე დასჭრა თავ-
ში, ბაგრატას მოხერხებულ შემთხვევით რომ არ აეცილებინა არჩუა-
ძეს მოლერებული ხანჯალი, უეჭველია ოქროვირიძეს არჩუაძე ხანჯ-
ლით თავს ზედ შუაზედ გაუჰობდა. მე ჩავარდი მათ შუაში და არჩილს
ხელები დაუჭირეთ და თან ვამშვიდებდით, მაგრამ არჩილი მაინც
თავისას შვრებოდა და მიწვევდა. მეც არჩუაძე წიხლებით მცემდა და
მით ყრილობდა ჩემს მსჯავრსაც.

მესამე დღეს არჩუაძე უკვე გაიპარა თავის საკუთარ სახლში;
იგი თურმე სისხლის აღებას აპირობდა დი აკი კიდეც აილო, მის
შემდეგ მესამე დღეს უკვე გადაზიდა ბარგი და გაიპარა. კირაზედ
სიტყვაც არ სთქვა, რომ მასზედ არის ერთი წლის და რვა თვის ქი-
რა ახალი, და ძველი ქირას კიდევ ექვსი ჩერვონეცი.

ასეთი ზრდილობით და კათ კაცობით დაამთავრეს თავიანთი მო-
ლვაწეობა არჩილმა და მისმა მარჯვენა მკლავმა ევგენმა დვალმა,
რომლებიც აღბათ კიდევ ხელს არ აიღებენ ჩემთან. მტრობაზედ და
უფრო დიდ ავანტიურას უნდა ველოდეთ მათგან.

ერთხელ თვით არჩუაძეს და დვალსა პქონდათ ერთმანეთში
დავა; არჩუაძემ ერთხელ დააბეჭდა რაღაცაზედ დვალი და ციხეში
ამოაყოფინა: თავი, ციხიდან რომ გამოვიდა დვალი, ახლა ამან და-
ბეჭდა არჩუაძე, გააჩერეკინა არჩუაძის ოჯახი, სადაც პუარებელი ნა-
ჯურდალი აღმოაჩინეს და ჩასვეს ციხეში.

არჩილ არჩუაძე სხვა ბევრნარის მოტყვებაშიც არის ცნობილი: 1923 წ. მან კახეთიდან მოტყუებით ჩამოიყანა ერთი ქალი ტფა-
ლისში, ეს ქალი მან მიჰყიდა ერთ კაცს 250 მანათში. ეს ქალი მყიდ-
ველს არ დაემორჩილა და მაგრა დაუდგა. ორი კეირის განმავლობა-
ში აწვალეს ეს ქალი, ამიტომ ესენი ამისთვის მღლაშ ღამე ქერთვებს
მართავდენ, ღამის 2 საათამდის, მაგრამ მაინც იმ ქალს ვერ იმორ-
ჩილებდენ, ბოლოს ეს ამბავი ქალის მშობლებს შეეტყოთ და ამიტომ
ეს ქალი კასეთში გაისტუმრეს უფნებლათ, ეს ამბავი არჩვაძეს ოჯახ-
ში მოხდა, ეს ამბავი მთელმა ეზოს ხალხმა შეიტყო.

სიკო თათრიშვილმა ისე დაშიბრიყვა და მომაბეჭრა მოკელის
მუქარებით, რომ 1924 წ. მე მას უჩივლე საქართველოს განსაკუთრე-
ბული კომისიის თავმჯდომარესთან შემდეგის საჩივრით,

ხაქართველოს განსაკუთრებული კომისიის თავმჯდომარეს.

მოქალაქე ზაქარია იგნატეს ძე ჭიჭინაძის (მე-9-ე კომისარიატი რევაზოვის, შესახვევი, სახლი № 5).

თ ხ ო 8 5 ა.

სიკო თათრიშვილი გახლავთ მდიდარი ვაჭარი. იგი სცხოვრობს სოფელ პატარძეულში (ტფილისის მაზრა). კახეთიდან ტფილისში ჩამოაქვს სურსათი ფქვილი, ლვინო, არაყი და სხვა და ფეხზე ვაჭრობს.

ამ კაცმა მე მოტყუილებით სახლი წამართვა, მე ჩემი სახლი 24 ოთახი მას მიკვიდე 150,000 მან., მისგან მივიღე მხოლოდ 60,000 მან. ამ 60,000 მან. მაგიერ 90,000 მან. დამიწერა და დანარჩენისაც ბარათი მომცა, მცირე ხანს შემდეგ ეს ბარათიც დამატყუა 1922 წელს.

1922 წელს იქნისის 22 იუნი ჩემი 50 წლის იუბილეი. ჩვენმა საბჭოთა მთავრობამ ჩემი სახლის ამბები კარგათ იცოდა, ამიტომ სიკო თათრიშვილს ჩემი სახლი ჩამოართვეს და მევე დამიბრუნეს. ამ გარემოებამ თათრიშვილი ძრიელ გააწილა და გააბრაზა, მას შემდეგ იგი მემუქრება და მოკვლას მიპირებს, მემუქრება ხან ცხადათ და ხან საიდუმლოთ მოკვლას მიპირებს. ერთხელ სახლში შემიწვია, რევოლუციი შიჩიგნა და მითხრა: ამითი მოგვლავო, მეორეთ და მესამეთ ქუჩიდან დამემუქრა აშკარათ, რაც ხალხმაც ნახა. ჩემი მოკვლით იმას იმედი აქვს რდმ სახლი მასვე დაუბრუნდება, ამიტომ მოგმართავთ და გთხოვთ, რომ დაპარება გამიწიოთ ვინაიდან მე მარტო ხელი კაცი ვარ, სახლში არავინა მყავს და ისიც სარგებლობს ამითი რომ იმას ჩემს მოკვლას გერავონ ვაუგებს. გთხოვ დახმარება გამიწიოთ დაიბარდო ეს სიკო თათრიშვილი დი ხელჩერილი ჩამოართვათ, ვინაიდან მე სხვა მტერი არავინა მყავს და თუ მომკლავს ვინჩე—მხოლოდ და მხოლოდ თათრიშვილი.

ზაქარია ჭიჭინაძე.

ქ. ტფილისი, 1924 წ. 7 ოქტომბერვალი.

მომყავს ეს ჩემი მეორე განსაჩივრებაც სიკო თათრიშვილის მუქარის და მცარცვავის შესახებ.

მუშათა და გლეხთა საბინაო ხახამართლოს გამგეს.

მოქალაქე ზაქარია
ჭიჭინაძის

ვ თ ხ ს ე ნ ე ბ ა:

4 ივნის, თბილისის გლეხთა და მუშათა საბინაო სასამართლოში, გაირჩა საქმე ჩემი და მოპასუხე სიკო თათრიშვილისა. ჩემმა მოპასუხემ სულ ტყუილები ილაპარაკა. იმისი ცნობებით მე დავიხატე როგორც ბოროტი, მცარცვავი, წამრთმევი და შეუბრალებელი, მე კი არ გახლავარ ასეთი, თვით ბძანდება ამისთანა მცარცვავი, ვინაიდან ერთმა მაკლერმა მაგის დარიგებით და დავალებით მომატყუა მე და 60.000 (სამოცი ათასი) მანეთში დამტყუა ჩემი სახლის 24 ოთახი.

თუ როგორ მომატყუა მან ამაზე საჩივარს ავტრავ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ მისი ნასყიდობა ყალბათ იქნეს ცნობილი და მასთან დაისაჯოს კიდეც, რომ დღეის შემდეგ კიდევ არ გაბედოს ასე კაცის მოტყუება.

სიკო თათრიშვილი რომ ლატაკი კაცი არ გახლავთ, ამისთვის ეხლა აქ მოვიყვან შემდეგ ცნობებს და იმედია, რომ ეს ცნობები უკეთ გამოიჩინს, რომ იგი ლარიბი კაცი არ გახლავთ და იგი საქმარისათ მდიდარი კაცია. პატარძეულში საქუთარი წისქვილიც აქვს.

საქმის გარჩევის დროს, 4 ივნის, მან სთქვა: რომ „მე დარიბი კაცი გარი“.

ეს ტყუილია, მთელს ივრის ხეობაზედ, შვიდ სოფელში, ყველაზე მდიდარი, ეს არის, სოფ. პატარძეულში აქვს საქუთარი სახლი და ისე სხვაც დიდი შეძლება და მამულები. მთელ ამ შვიდ სოფლის გლეხებს ეს აძლევს ფულებს სესხად და მერე ტყავს აძრობს გლეხებს პროცენტებით, პროცენტებში სურსათს ართმედეს.

სთქვა კიდევ: „მე მაქვს სამი დღიური მიწაო“.

მას აქვს სახნავი მიწებიცა და სათესიც, ეს რომ მართალია ამას ასაბუთებს შედეგი: 1920 და 1921 წ. ყველა ზაფხულობით ჩამოჰქონდა ხორბალი და პურის, ფქვილი რამდენიმე ურმით და ჰყიდა. ამის გარდა სიმინდის ფქვილი, კართოფილი, ლობიო, ლორის ხორცი და ხახვი, ნიორი, ხილი სხვადასხვა ნაირი, ყველა აშეგბს იგი. იღებდა სულ პროცენტში.

მან სთქვა: „მე არც ვენახი მაქვს და არც ბალიო“.

ესეც ტყუილია მას აქვს ისეთი ზეარი, საიდანაც 1921 წელს

თბილისში ჩამოიტანა შვიდი ურემი ლვინო, და ეს ლვინოები ჩემ სახლის ეზოში დაცული და ერთი ურემი ლვინო გიორგი ამილბარა. შვილს მიჰყიდა. ასე და ამ გვარათ იგი ამ ლვინოებს ჰყიდდა მთელი წლის განმავლობაში.

მან სთქვა: „მე ისეთი ლარიბი ვარ, რომ მოსამსახურის დაქირავება არ შემიძლიანო“.

ტყუილია. მას რავდენიმე ბიჭი ჰყავს, მათ ჩამოაქვთ მისი ურმები თბილისში და როგორც მისგან დაჩაბრუულებმა. თათრიშვილს დიდი უმაღურებიც არიან.

მან სთქვა: „რომ მე დაჩაგრული კაცი ვარო“.

დაჩაგრული მე ვარ, რომ მან მაკლერი აგია შვილი შემომიჩინა და მოახერხა ჩემი სახლი დამტყუა 60.000 მანეთში. ესეც მოხდა მიტომ, რადგანაც მან ერთი ჩემი ბარათი 20.000 მან. სიმონ მახარაძისაგან შეისყიდა 40.000 მანეთში და ბარათის ძალით ჩემი სახლი ჩაიგდო ხელში. ჩემი სახლი არა დროს არ გაიყიდებოდა, ვინაიდან ჯერ ერთი მე უცოლშვილო ვარ, სახლსაც ბანკის ვალი არ ჰქონდა და იგი დამტკიცებული მქონდა წ. კ. გამ. საზ. სახელშე 1905 წლ.

თუმცა სახლი ჩამორთმეულია მთავრობისგან და მოცემული მაქვს მე, რომ ვიდრე ცოცხალი ვარ ვისარგებლო და სიკვდილის შემდეგ ისევ მთავრობისა იქნება.

თუმცა სახლი ჩემია, მაგრამ მე მაინც მინდა დავასაბუთო რომ სიკო თათრიშვილმა სახლი დამტყუა ყალბათ.

სიკო თათრიშვილი რომ მდიდარი კაცია ამას ამტკიცებს აირა: 1922 წელს, კახეთიდან თბილისში ჩამოიტანა 100 ვედრა ჭავის არაყი, ეს არაყი გაყიდა და მის ფულით იყიდა ოთხი ურემი შაქარი და კახეთში წაილო გასაყიდათ.

შეუძლებელია რომ 100 ვედრა ჭავის არაყის პატრონი და ოთხი ურმის შაქრის პატრონი შეუძლებელი კაცი იყვეს.

სიკო თათრიშვილმა 4 ივნის სასამართლოს სხდომაზე სთქვა: რომ მე ეხლა შევიტყე, რომ სახლი ჩამომერთვაო. ესეც ტყუილია. ამა სახლის ჩამორთმევის ცნობა მან შეიტყო 1922 წელს ივნისის 22 ჩემი იუბილეის დღეს. მას შემდეგ იმავე წლის 1 ნოემბერს ჭალაჭის აღმასრულებელ კომიტეტმა იცნობა, რომ სახლი ჩამორთმეულია და გადაცემულია ზაქარია ჭიჭინაძეზე.

ყველა ამას დაამოწმებენ შემდეგი პირნი, რომელთაც კარგათ იციან ეს ცნობები:

1. ბაგრატ ოქროპირიძე.

2. გიგა გოძიაშვილი.

3. ეკატერინე გოძიაშვილი.

ამათი ზისამართი: რევაზოვის შესახვევი სახლი № 5, მე-IX კო-
შისარიატი.

მთხოვნელი: ზაქ. ჭიჭინაძე.

1924 წელი, 20 ივნისი. ქ. ტფილისი.

ჩემი მოკვლის გამო.

ესეც ჩემი განსაჩივრება არჩეაძეს შესახებ მთავრობის წინაშე

1924 წ. 9 ივნისი.

საქართველოს ხოც. საპარ. რესპუბლიკის განხაკუთრებულ კოშიხის
თავმჯდომარეს.

ზაქარია ჭიჭინაძის (მე-9-ე კოშისარია-
ტი, რევაზოვის შესახვევი სახლი № 5).

თ ხ მ ვ ნ ა:

ჩემს სახლში სცხოვრობს ფეხზე მოვაჭრე არჩილ მოსეს ძე არ-
ჩუაძე. ექვსი წელიწადი გახლავთ რაც ეს კაცი აქ სცხოვრობს და
მან ბევრჯელ დამჩაგრა მე. ქირის მოუცემლობის გამო, 1923 წ. მე-9
კოშისარიატის საუბონ სასამართლოში აღვძარი საჩივარი, სამს დე-
კემბერს გაირჩი და ქირის გადახდა დაპისრეს, მაგრამ მისგან მე
მაინც ვერაფერი მიყიღე. ბევრი უსიამოვნების შემდეგ ჩემი მეგობ-
რების დახმარებით მან ოთახი დაცალა და ჩემსავე სახლის ორ ოთახ-
ში მოთავსდა და მისგან დაცლილ ოთახში მე მოვთავსდი.

რაღანაც მე ბინა არა მქონდა.

იმავე დროს, ჩემს სახლში, სცხოვრობდა და დღესაც სცხოვ-
რობს, რკინის გზის მუშა, ბაგრატ ნიკოლოზის ძე ოქროპირიძე—ეს
მუშა პატიოსანი კაცია და წევრიც არის კომუნისტური პარტიისა.
იგივე არის კარგი მუშა ხელოსანი და მასთან ცოლშვილის პატრიონი
ამ ოქროპირიძეს ეჭირა ერთი ისეთი, ოთახი რომელიც მისი ბავშვე-
ბისათვის უვარებისი იყო, 1922 წელს ერთი ბავშვი მოუკვდა, ფქიმების
რჩევით, მას ოთახი უნდა დაეცალა, მაგრამ ოთახს ვერ შოულობდა,
იმავე დროს მას მეორე ბავშვიც გაუხდა ავად და ამისთვის დაღო-
ნებული იყო იგი დიდათ; რომ მეორე ბავშვიც არ გახდომოდა ავათ
და არ დასნეულებულიყო.

მის მდგომარეობას მე მივაჭრი ჯეროვანი ყურადღება და რად-

განაც ის ქირას იხდის ყოველთვის, მიტომ მე ჩემი ოთახი დაუთმე
მას და ის მოთავსდა იქ ჩემს ოთხში, ხოლო მის ოთხში მე მრვ-
თავსდი. ეს გარემოება არჩილ არჩუადეს ეწყინა დიდათ, რაღაცაც
მას მტრობა ჰქონდა ბაგრატ ოქროპირიძისა, ამიტომ მე დამიწყო
ჩხუბი, ცემით დამუქრება, მოკვლა და სხვა ბოროტი საჭმები.

პირველ ივნისს ლამე ჩემზე იწია მოსაკლავათ, გათენდა, ორი
ივნისი და დილა აღრიან დამიწყო ლანძლვა, გინება და იწია საცემ-
რათ და მოსაკლავათ. ამის ასრულებას იგი მიტომ ბედავდა, რომ მე
მოხუცებული კაცი ვარ და მარტოხელი. იგი ფიქრობს ასე: ამას არა-
ვინ არა ჰყავს და მე ყველაფერი შემრჩება და მასთან მოჰყავს ვილაც
საეჭვო კაცები. აჩვენებს ჩემს ბინას და რაღაცებს ავალებს.

ამიტომ მოგმართავთ პატივის ცემით და გთხოვთ, რომ პატრო-
ნობა გამიშიოთ თქვენა და არჩილ მოსეს ძე არჩუადეს წინადადება
მისცეთ, რომ მან ჩემ ლანძლვა-გინებას და მოკვლის განზრახვას თავი
დაანებოს, რაღაცაც იგი ჩვეული ყოფილა კაცის კვლასა, სახლების
დაწვის და სახლის გაცარცვას. იმედი მაქვს ჩემი თხოვნა უყურად-
ლებოდ არ დარჩება.

მთხოვნელი: ზაქარია ჭიჭინაძე.

1924 წ. 3 ივნისი, ქ. ტფილისი.

ବ୍ୟାକ ପାରିଷଦ

1

କୃତ ଶର୍ମା ପାତ୍ର
ଶିଖାନୁଦୀ ଅଭିଭାବିକୁଳ

მოქ. ზაქარიავ! მე ღლებში თბილისში გამოიიდა ყოველ სიმარ. მოკ. და წრეს გადასული თქვენი წიგნავი, სახელწოდებით: „ჩემი სიკვდილის სამზადისი, სახლის უფლოთ წართმევის ამბავი და ჩემი ფავადასვალი“ სადაც პირადათ მე აგრეთვე მუშა არჩილ არჩევადს და გლეხს სიკა თარიშევილს საზიზღარ ცილა გვწამებ, თოთომ შენ მომდინარე გვდომებოდა, ასელაც გვინდოდეს, სახლი უფლოთ წაგარივით და სხვა გვიწოდებ, კაცის მკვლელებს, შეც-ცხოველებს ტვინ თხელებს და ვინ მოსთვლის რას და რას.

ყოველიცე ამისათვის, გიშვევე სამედიატორო სა-
საშაროთლოში მე პირადათ და მოვითხოვ თქვენგან
თქვენი ნაჩახის დამტკიცებას. მედიატორებათ ვა-
სახელებ: გალაქტონ ტაბიძეს, დათიკო ნასარიძეს
და ფილიპე გოგოშვილებს. დაასახლეთ თქვენ მე-
დიატორები, გადას გადლევ ორი კვირისას. დღი,
ჩერენი საქმე სმარტლილი იქნება გამორჩეული და
მასთან გაზიარდეთ გამოცხადებული, ვინც ჩემს შო-
რის გამტუცნდეს მან, „რემედის“ - ის სასარგებლოთ
გადიხისადმის ორასი მნეთი და თანაც პრესით წო-
დიში მოიხდოს საზოგადოების წინაშე.
მეგონი დაალ.

1

„ডুবু” ২৫ মে ১৯২৫

ତେବୁନିଲ୍ଲାଙ୍ଗ କୁଣ୍ଡାୟ. ଅମାରତ୍ତ

მოქ. ეგვენი გაზ. „მუშა“-ს 910 №-ში, გამოქვეყნებული წერილით მიწვევს მე სამედიატორო სასამართლოში. მე თანახმა კარ გაგვცეთ სამედიატორო სასამართლოში და ჩემ მხრივ მედიატორებათ ვასახელებ მის. ჩოდრიშვილს, მოსე კვარაცხელიას და მირიან ხუსუნაიშვილს.

Հայ Շեքերձա „Հյոմընաւ“-ու սասարցը ծլու 200 թա-
նգութիւն ցածրակեցաւ և Տէրեւուս և Մշտակալու ծովութիւն
մռեցաւ, Կրէալու մը ամուս Քոնանալմդեցի արագուրու
մը հերձաւ և ըստ աշխալու ծլու արաւուն.

დღე და ადგილზედ ჩემი წინადადებაა მელიატო-
რები შეუთანხმდენ ერთი მეორეს.

୪. କ୍ଷେତ୍ରିକ ଅଧିକାରୀ